EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი N28103/11
ლაშა ლანჩავა
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია) კომიტეტის 2015 წლის 23 ივნისის სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

ჯორჯ ნიკოლაუ, *თავმჯდომარე,*
კრჟისტოფ ვოიტიჩეკი,
იონკო გროზევი *მოსამართლეები,*
და ფატოშ არაჩი, *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო 2011 წლის 13 აპრილს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო მოპასუხე მთავრობის მიერ 2015 წლის 13 მარტს წარმოდგენილი ოფიციალური დეკლარაცია, რომელიც ითხოვდა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამოღებას, ასევე მომჩივნის პასუხი დეკლარაციაზე,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი ბ–ნი ლაშა ლანჩავა, არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1992 წელს. მას სასამართლოში წარმოადგენდა ქ–ნი ი.საღინაძე, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ქუთაისში.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა მთავრობის წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. მესხორაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

3. საქმე ძირითადად ეხებოდა მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობას ქუთაისის N 2 საპყრობილეში მომხდარი ძალადობრივი ინციდენტის დროს და სავარაუდო უსამართლობას სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. 2014 წლის 1 სექტემბერს სასამართლომ შეატყობინა მთავრობას საჩივრის შესახებ კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების §§ 1 და 3 (c) და (d) დაკავშირებულით.

4. 2015 წლის 13 მარტით დათარიღებული წერილით მთავრობამ შეატყობინა სასამართლოს, რომ სურდათ ცალმხრივი დეკლარაციის გაკეთება იმ საკითხების გადაწყვეტის მიზნით, რომლებიც საჩივარში იყო დასმული. დეკლარაციის ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

> „მთავრობა ცალმხრივ დეკლარაციაში აღიარებს, რომ მომჩივნის მიმართ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული მხარის დარღვევას, ასევე ხარვეზებს 2009 წლის 6 ივლისს ქუთაისის N2 საპყრობილეში მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის საქმის გამოძიების მსვლელობისას.
>
> მთავრობა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით აღიარებს, რომ სასამართლო პროცესიდან მომჩივნის გაუმართლებელი გაძევებით დაირღვა კონვენციის მე–6 მუხლი §§ 1 და 3 (c). თუმცა, ზემოთ აღნიშნული ხარვეზი არ მოქმედებს მთლიანი სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე; აღსანიშნავია, რომ გარდა რამდენიმე მოწმის ჩვენების განხილვისა, შიდა სასამართლოებმა მომჩივნის ბრალეულობა დაასაბუთეს *სხვებს შორის*, ქუთაისის N2 საპყრობილის უფროსის 2009 წლის 7 ივლისით დათარიღებული წერილით და სხვა დოკუმენტებით, რომლებითაც დასტურდება მომჩივნის ყოფნა N102 საკანში 2009 წლის 6 ივლისს მომხდარი ინციდენტის დროს; ასევე დანაშაულის ადგილის დათვალიერების ოქმი, რომელშიც ასახულია ციხის ქონების დაზიანება N 102 საკანში; დანაშაულის ადგილზე ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების ტრასოლოგიური ექსპერტიზის ანგარიში; ორი დაზარალებულის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ანგარიშები და საქმესთან დაკავშირებული სხვა მტკიცებულებები.
>
> იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივნისა და დანარჩენი თვრამეტი არასრულწლოვნის ადვოკატთა ბრალდებები 2009 წლის 6 ივლისს მომხდარი ინციდენტის დროს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, ასევე მათი მოთხოვნა ინფორმაცია მოეპოვებინათ მოწმეებისგან, კერძოდ, ციხის სამედიცინო პერსონალისგან, სახალხო დამცველის აპარატისა და სოციალური სამსახურებისგან, უშუალოდ არ იყო დაკავშირებული მომჩივნის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებასთან.
>
> მთავრობა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით წინამდებარე დეკლარაციაში ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს გამოძიების ეფექტურობა ქუთაისის N2 საპყრობილეში 2009

წლის 6 ივლისს მომხდარი ინციდენტის დროს მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

ასევე, ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებისა და საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის ამ დეკლარაციის ფარგლებში ბ–ნ ლანჩავას გადაუხადოს 4,500 (ოთხი ათას ხუთასი) ევრო ყველა მორალური ან მატერიალური ზიანის, ხარჯისა და დანახარჯის და ნებისმიერი გადასახადის ანაზღაურების სახით, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს მომჩივნებისთვის.

აღნიშნული თანხა კონვერტირებულ უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული კურსის შესაბამისად და განთავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისგან, რომელიც შეიძლება მომჩივანს დაეკისროს. გადახდა უნდა მოხდეს კონვენციის 37–ე მუხლის § 1 შესაბამისად სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შეტყობინებიდან 3 თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ გადახდა არ განხორციელდა ზემოხსენებულ 3 თვის ვადაში, გადასახდელ თანხას დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი...“

5. 2015 წლის 2 ივნისით დათარიღებული წერილით მომჩივნის წარმომადგენელმა სასამართლოს აცნობა, რომ მისი კლიენტისთვის მისაღები იყო მთავრობის დეკლარაციის პირობები. მომჩივანი ასევე თანახმა იყო უარი ეთქვა სხვა პრეტენზიებზე საქართველოს წინააღმდეგ იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ამ საჩივარს უდევს საფუძვლად.

სამართალი

6. სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნის მიერ მთავრობის დეკლარაციის პირობების მიღება მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებად უნდა ჩაითვალოს.

7. აქედან გამომდინარე სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა შორის მიღწეულ მორიგებას. სასამართლო კმაყოფილებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ მორიგება დაფუძნებულია ადამიანის უფლებების პატივისცემაზე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში და ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რომელიც გაამართლებდა საქმის განხილვის გაგრძელებას.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია საქმის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

ამის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთხმად *მიიღო გადაწყვეტილება,* კონვენციის 39-ე მუხლის შესაბამისად ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

შედგენილია ინგლისურ ენაზე და ეცნობათ წერილობით 2015 წლის 16 ივლისს.

ფატოშ არაჩი	ჯორჯ ნიკოლაუ
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე	თავმჯდომარე